

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია Literature and Literary Theory

გერცელ ბააზოვის უცნობი პოეტური თარგმანები: ხელნაწერთა ანალიზი და შეფასება

გურანდა გობიანი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ელ. ფოსტა: gobianiguranda78@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.07>

SJIF 2025: 8.584

სტატია მიმოიხილავს გერცელ ბააზოვის (1904–1938) პოეტური თარგმანების ნაკლებად შესწავლილ ასპექტს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ტექსტებზე, რომლებიც დღემდე მხოლოდ ხელნაწერის სახითაა შემორჩენილი და ფართო მკითხველისთვის უცნობია. ბააზოვის მთარგმნელობითი მოღვაწეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ დიალოგში, რადგან იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ებრაული პოეზია უშუალოდ ივრითიდან გადმოაქართულა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს სამი გამოუქვეყნებელი ლექსი, დაცული საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში (ინვენტარიზაციის №26622), რომლებიც ეფუძნება დავით ფრიშმანის, იაკობ ფიხმანისა და ხაიმ ნ. ბიალიკის პოეზიას. სტატიაში გაანალიზებულია ბააზოვისეული ინტერპრეტაციის სტილისტური თავისებურებები, მეტრული და ლექსიკური გარდაქმნის მექანიზმები, აგრეთვე მისი ტენდენცია ტექსტის ემოციური ინტონაციის გადმოტანისა.

ბააზოვის თარგმანები სცილდება სემანტიკური შესაბამისობის ჩარჩოებს და ქმნის ორ კულტურას შორის ინტერპრეტაციულ დიალოგს, რომელშიც ებრაული პოეტური არქეტიპები ორგანულად ერწყმის ქართულ მხატვრულ ტრადიციას. შესაბამისად, ბააზოვის პოეტური თარგმანები განიხილება არა მხოლოდ ლიტერატურულ, არამედ კულტურულ მოვლენად, რომელიც ამტკიცებს ქართული და ებრაული სულიერი სივრცეების შინაგან თანხვედრასა და დიალოგურ ბუნებას.

საკვანძო სიტყვები: გერცელ ბააზოვი; ებრაულ-ქართული ლიტერატურული დიალოგი; პოეტური თარგმანი; ინტერპრეტაციული სტრატეგიები; ხელნაწერი კვლევები; კულტურული მედიაცია; შედარებითი პოეტიკა.

გერცელ ბააზოვი (1904–1938) ქართულ-ებრაული კულტურული დიალოგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. მისმა ლიტერატურულმა და მთარგმნელობითმა საქმიანობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული და ებრაული კულტურათა-შორისი კომუნიკაციის ჩამოყალიბება. გერცელის მოღვაწეობა განსხვავებული და გამორჩეულია იმ მხრივ, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული იდენტობის

მმაფრი ლირიკული გამოხატულებით, ის არა მხოლოდ ეროვნულ-იდეალისტური პროზისა და პოეზიის ავტორი და საზოგადო მოღვაწეა, არამედ ერთ-ერთი პირველი ებრაული ტექსტების მთარგმნელიც, რომელმაც ებრაული თემატიკა და რიტორიკა შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში.

ბააზოვის მთარგმნელობითი საქმიანობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რამდენიმე მიზეზით: უპირველესად, მას საფუძვლად უდევს ებრაული ტექსტების უშუალოდ ივრითიდან თარგმნის პრინციპი, რაც იმ ეპოქისთვის თითქმის უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში და მთარგმნელის მიდგომა ენობრივ, კულტურულ და სტილისტურ დონეზე, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ შინაარსობრივი ინფორმაციის გადმოცემას, არამედ ორ სხვადასხვა კულტურულ სისტემას შორის ინტერპრეტაციული დიალოგის წარმართვას. გერცელ ბააზოვის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი სერიოზული მკვლევარი, გიორგი ციციშვილი, ხაზგასმით მიუთითებს ქართველი ებრაელი მწერლის დიდ წარმატებას მთარგმნელობით სფეროში და იმასაც დასძენს, რომ გერცელის მიერ კარგად შესრულებულმა პოეტურმა თარგმანმა (იგულისხმება „გალობათა გალობის“ („ქებათა ქების“) ივრითიდან ქართულ ენაზე თარგმანი), უფრო დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ვიდრე მისმა ცალკეულმა ორიგინალურმა ლექსებმა (ციციშვილი 1964: 10).

განსაკუთრებით საყურადღებოა გერცელ ბააზოვის ის თარგმანები (ლექსები), რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელია და ინახება ხელნაწერთა სახით. მათ ახასიათებთ ზუსტი მეტრიკული განაწილება და მთარგმნელის მიერ ავტორისეული ემოციური ინტონაციების ერთგული რეპრეზენტაცია. ბააზოვი არ ეწევა მხოლოდ სიტყვიერ გარდაქმნას — ის ქმნის ახალ, კულტურულად ადაპტირებულ ტექსტს, სადაც ებრაული პოეზიის იდენტობა, ხმის ტემბრი და თემატური ფენები ორგანულად ინერგება ქართულ ენასა და პოეტურ ტრადიციაში. მისი დამოკიდებულება თარგმნის პროცესისადმი არის ინტერპრეტაციული და არა ტექნიკური. იგი ცდილობს არა მხოლოდ აზრის, არამედ ატმოსფეროს, ემოციური ენერგიის და ავტორისეული ხედვის გადმოცემას. ამავე დროს, ბააზოვი გვევლინება როგორც კულტურული მედიატორი ორ სამყაროს შორის — ერთის მხრივ, ის სიღმისეულად სწვდება ებრაულ ტექსტებს და მათ შინაგან რიტმს, ხოლო მეორე მხრივ, აცნობიერებს ქართველი მკითხველის მოლოდინებს, გემოვნებას და ენობრივ განწყობას. სწორედ ამ წონასწორობის დაცვით იქმნება ბააზოვის თარგმანები.

ბააზოვის მთარგმნელობითი მემკვიდრეობა შეიძლება პირობითად სამ კატეგორიად დაიყოს: ცნობილი და დადასტურებული თარგმანები (მაგ: ფსალმუნები (ნაწილობრივ), „გალობათა გალობა“ („ქებათა ქება“)), დაკარგული ან არქივში დაცული ხელნაწერები (მაგ: ჩვენ მიერ წინამდებარე ნაშრომში განხილული სამი ლირიკული ლექსი) და შესაძლო სამუშაო ვერსიები (თარგმნის ჩანაწერები, რომლებიც არ იყო საბოლოოდ დასრულებული ან გადასაცემად მზად). მის თარგმანებზე ინფორმაცია ძალიან მწირი და ფრაგმენტულია. რეპრესირებული მწერლის შემოქმედების შესახებ მხოლოდ ის მცირედი ფაქტობრივი მასალაა ხელმისაწვდომი, რომლებიც სასწაულებრივ გადაარჩინეს და შეაგროვეს მწერლის დებმა, ფანი და პოლინა ბააზოვებმა და ის შრომები და პუბლიკაციები, რომლებიც 1955 წლის რეაბილიტაციის შემდეგ დაიწერა და გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში, ასევე არქივებსა და მუზეუმებში დაცული ხელნაწერები.

წინამდებარე სტატიის მიზანია, გააშუქოს გერცელ ბააზოვის უცნობი პოეტური თარგმანები, როგორც მთარგმნელობითი მემკვიდრეობის არსებითი ნაწილი და წარმოაჩინოს მათი ტექსტოლოგიური, თემატური და სტილისტური თავისებურებები.

ამით შესაძლებელი ხდება მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის უფრო სრულყოფილი ანალიზი და მისი როლის კიდევ უფრო მკვეთრად განსაზღვრა ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ კონტექსტში.

„გალობათა გალობის“ გარდა, გერცელ ბააზოვს აქვს ლირიკული ლექსების თარგმანებიც, რომლებიც, მართალია, ლიტერატურული ღირებულებით მკვეთრად ჩამოუვარდება აღნიშნული პოემის ბრწყინვალედ შესრულებულ თარგმანს თანამედროვე ქართულ ენაზე, მაგრამ, ვფიქრობთ, მათი მიმოხილვა, მთარგმნელობით სფეროში გერცელ ბააზოვის მოღვაწეობაზე საერთო აზრის შესაქმნელად, აუცილებელია.

იმ უმცირესობათა შორის, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული, ერთ-ერთი მათგანია „ებრაული მელოდია“, რომელიც რუსულიდან არის თარგმნილი და როგორც პ. ბააზოვი გვაცნობებს, დაბეჭდილი ყოფილა 1922 წელს ონის მოწაფეთა სალიტერატურო წრის ჟურნალ „ონის“ პირველ ნომერში (ლექსი მოთავსებულია ფ. ბააზოვის კრებულში დავით და გერცელ ბააზოვები, იერუსალიმი, თელავი, 1976 წ.).

პოლინა ბააზოვის დასახელებულ მცირე ზომის კრებულში შეტანილია, აგრეთვე, ებრაულიდან თარგმნილი ლირიკული ლექსი „მას“, რომელიც შემოუნახავს გერცელის ყოფილ მოწაფეს მორდებ დანიელოვს და გადაუცია ისრაელში გამგზავრების წინ მომე დანიელოვისათვის და ამ უკანასკნელის საშუალებით მოხვედრილა მწერლის დის ხელში (ცნობა დაცულია პ. ბააზოვის კრებულში „იუდეველნი“, ხოლონი, 2002წ.).

ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სამ თარგმანზე, რომლებიც დაცულია საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში, გერცელ ბააზოვის ხელნაწერებში (თარგმანები (მთარგმნელის ავტოგრაფით) 26622). ისინი დღემდე არ არის დაბეჭდილი და გამოქვეყნებული. სამივე ლექსი ებრაულიდან არის გადმოქართულებული და არცერთს თარიღი მინიშნებული არა აქვს. მათგან ორი სატრფიალო მოტივზეა დაწერილი, ხოლო ერთი ფსიქოლოგიური ხასიათისაა.

პირველი თარგმანის სათაურია „ღამით“ - ფილოსოფიური ლექსი სიმარტოვის, სიკვდილის და სულიერი ამაოების შესახებ. ლექსი ეკუთვნის ებრაელ პოეტს _ დავით ფრიშმანს, მასში საუბარია ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე, უმიზნო და უშედეგო ცხოვრებასა და გარდაუვალ სიკვდილზე. მთარგმნელის ენაში იგრძნობა მდარე ფატალიზმი და სევდიანი ექო.

„საიდუმლოსთან და ოცნებასთან
დავრჩი მარტოკა.

ო, ღმერთო ჩემო, ეს ჩემი ნიჭი
უმიზნოდ ტოკავს?!

ვიცი: მოვკვდები და დამიტირებს
ალბათ არავინ,

წყვდიად სამარეს არ გამიშუქებს
თუგინდ ვარკსვლავი. . .”

ლექსი, საერთო განწყობიდან გამომდინარე, ბოლოვდება მინორული და სევდიანი ნოტით, რითაც ავტორი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ცხოვრების უღმომბელ კანონზომიერებას.

„მთქნარი ჭიხვინით კვლავ ორი ცხენი
გასწევს ჩემს კუბოს.
და მოვა სეტყვა, რომ ჩემი ტანჯვა

მან დააგუბოს.
 იყო აქ კაცი. მას სწამდა, რაც სხვებს
 ეუცხოება.
 გავა ერთი დღე და მის სიმღერებს
 შთანთქავს ცხოვრება.”

„დავდივარ შენთან“ - ასეთია შემდეგი თარგმანის სათაური, ლექსის ავტორია იაკობ ფიხმანი. ეს არის ინტიმური ლირიკა, სათუთი ემოციის და თავშეკავებული სიყვარულის გამოხატულება. ტექსტი ბანალური, სატრფიალო შინაარსისაა. ლირიკული გმირი გაუმხელელ, დაფარულ სიყვარულს უმღერის. სამივე სტროფს რეფრენად გასდევს შემდეგი სიტყვები: „დავდივარ შენთან მუდამ, ყოველდღე“. ლექსის ავტორი მოკრძალებულ, სათუთ, ნაზ და გულწრფელ გრძნობას ეხება, რომლის აღმოთქმა და გამჟღავნება ძალიან უძნელდება შეყვარებულ გულს:

„დავდივარ შენთან მუდამ, ყოველდღე,
 პირზე კანკალებს სიტყვა სათქმელი,
 მაგრამ ჯერ კიდეთ ვერ გადავწყვიტე
 და თუ გითხარი - ნეტავ თუ ელი?
 დავდივარ შენთან მუდამ, ყოველდღე,
 ბრწყინავს იმედი - გზის გამკაფავი
 და როს ვბრუნდები - მე მანუგეშებს
 მკრთალი სინათლით ჩემი ვარკვლავი
 და მათამაშებს ბედი მაცდური
 იქ სევდის შემდეგ – მიღიმის აქ მე
 დავდივარ შენთან მუდამ, ყოველდღე
 და ვერ მიმხვდარვარ რაშია საქმე~.

მესამე თარგმანი უსათაუროა, ლექსის ავტორია ხ. ნ. ბიალიკი. მასში, განსხვავებით წინა ლექსისაგან, ფაქიზი გრძნობის ნაცვლად ეროტიზმი და ხორციელი ვნების დამღუპველი ძალა მძლავრობს, ეროტიკული დამაბულობის და შემდგომი სიცარიელის პოეტური ტანჯვა, სადაც წინა პლანზე მოდის სხეულის ეშხი და სულის გოდება:

„ეს მშვიერი თვალები მედგრად რომ მოითხოვენ,
 ეს მწყურვალე ტუჩები, რომ ჰკივიან: გვაკოცე!
 ეს ეშხის ძუძუები, რომ ამბობენ: მოგვხვამ
 და როგორც ჯოჯოხეთი რომ ხარ გაუმადარი.
 მოცულობა სხეულის სავსე ვნების ცახცახით,
 საიდუმლო მშვენება და ეს ტანი დამჭველი,
 მე რომ საზრდოს მაწვდიდენ სანუკრების წყაროდან
 - რომ იცოდეს, ლამაზო, ნეტავ როგორ მომწყინდა~.

ლირიკული გმირი მზადაა, რაღაც მომენტში, მსხვერპლად შესწიროს „სული-გული სპეტაკი და უმწიკლო წარსული“ წამიერ გულის წადილს, ვნებით ანთებულ ლამაზი სხეულის ცახცახს და გახდეს „ბედნიერი უსაზღროდ ერთი წამითა“, მაგრამ მხოლოდ ერთი ავბედითი წამით... ვნება ცხრება, გონება იწმინდება, ხელთ მხოლოდ დამღუპველი უბირი სიცარიელე რჩება და გრძნობს „შვების ამ წუთში მთლად მსოფლიო დაექცა“, მაშინ კი მწარედ ინანებს: `... რა დიდია, ოჰ ფასი-შენს ხორცში რომ მივეცი.”

სამივე თარგმანს ტექსტის ბოლოს დართული აქვს გერცელ ბააზოვის ხელმოწერები. თითოეული თარგმანი ებრაულ კულტურულ და ფსიქოლოგიურ

კონტექსტშია ჩასმული და ჰარმონიულად ერწყმის ქართულ ლექსიკას, რაც ბააზოვის სტილისტიკის დამახასიათებელი ნიუანსია. მთარგმნელი ერიდება გადაჭარბებულ ეკლესიურ ან არქაული სტილის გამოყენებას და ტექსტის ბუნებრიობას ეძებს. მისი თარგმანები არ წარმოადგენს მხოლოდ სიტყვების გადმოტანას, არამედ კონტექსტის, განწყობის და ებრაული სულიერი ლანდშაფტის ქართულ რეალობაში გადმოტანას.

გერცელ ბააზოვის პოეტური თარგმანები წარმოადგენს მისი შემოქმედების იმ ფენას, რომელიც დღემდე ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა ამავე დროს იძლევა მნიშვნელოვან პერსპექტივებს ქართული და ებრაული ლიტერატურათმცოდნეობის ურთიერთმიმართების ახალი ხედვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბააზოვის ბიბლიურ თარგმანებზე მრავალჯერ გამოთქმულა შეფასებები, შედარებით შეზღუდულია მისი პოეტური თარგმანების ფუნქციისა და მნიშვნელობის გააზრება ქართულ ლიტერატურულ კონტექსტში.

ბააზოვის თითოეული თარგმანი ღრმად არის ფესვგადგმული ებრაულ კულტურულ და ფსიქოლოგიურ სივრცეში; ამასთანავე, მისი მხატვრული ტრანსფორმაცია ქართულ პოეტურ ენაში წარმოაჩენს მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილისტურ ხელწერას და ორ ლიტერატურულ სისტემას შორის არსებული შუალედის ინტერპრეტაციულად გადალახვის უნარს.

ამრიგად, გერცელ ბააზოვის უცნობი პოეტური თარგმანები საჭიროებს როგორც ტექსტოლოგიურ, ასევე სტილისტურ-თემატურ კვლევას და აკადემიურ გამოცემას, რაც საშუალებას მისცემს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას სრულად გაიაზროს მისი როლი ქართულ-ებრაული კულტურული დიალოგის ისტორიულ და ესთეტიკურ სივრცეში.

ლიტერატურა:

1. ანთაძე, დ., - დღეები ახლო წარსულიდან. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1962.
 2. ბააზოვი, პ., - ფურცლები წარსულიდან. თელავი: გამომცემლობა „ურიან“, 2000. 558 გვ.
 3. ბააზოვი, პ., - იუდეველი. ხოლონი: გამომცემლობა თელავის უნივერსიტეტი, 2002.
 4. გობიანი, გ., - გერცელ ბააზოვის როლისა და ადგილისათვის XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიაში (დისერტაცია). ქუთაისი: 2009. 180 გვ.
 5. ნიკოლეიშვილი, ა., - ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, წიგნი I. ქუთაისი: გამომცემლობა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003.
 6. ციციშვილი, გ., - გერცელ ბააზოვი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964.
- საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი - გერცელ ბააზოვის თარგმანების ხელნაწერები (მთარგმნელის ავტოგრაფით), ინვენტარი №26622.

Guranda Gobiani

Central European University

e-mail: gobianiguranda78@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.07>**SJIF 2025:** 8.584**Gertsel Baazov's Unpublished Poetic Translations: Analysis and Evaluation of Manuscripts****Abstract**

The article examines a lesser-studied aspect of Gertsel Baazov's (1904–1938) poetic translations, focusing on texts that have survived only in manuscript form and remain largely unknown to the wider public. Baazov's translation activity represents a significant stage in the development of the Georgian-Hebrew literary dialogue, as he was among the first translators to render Hebrew poetry directly from the original Hebrew language into Georgian.

The study focuses on three unpublished poems preserved at the Georgian Museum of Literature (Inventory No. 26622), based on the works of David Frishman, Jacob Fichman, and Hayim Nahman Bialik. The article analyzes Baazov's stylistic approaches, his strategies of metrical and lexical transformation, and his tendency to reproduce the emotional intonation and spiritual atmosphere of the original texts.

Baazov's translations transcend the boundaries of semantic equivalence, creating an interpretive dialogue between two literary and cultural systems in which Hebrew poetic archetypes are organically integrated into the Georgian artistic tradition. Consequently, Baazov's poetic translations are interpreted not merely as literary artifacts but as a cultural bridge that reaffirms the inner affinity and dialogic nature of the Georgian and Hebrew spiritual worlds.

Keywords: Gertsel Baazov; Hebrew–Georgian literary dialogue; poetic translation; interpretive strategies; manuscript studies; cultural mediation; comparative poetics

რეცენზენტი: იან აიდუკოვი